



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 55-1

27/08/2019

ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტის იმპორტის შეჩერების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო მოწმობების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის #426 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესისა და პირობების მე-5 მუხლის 5¹ პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ბელგიის სამეფოს „DTS Meat Processing N.V.“ (მის: Hovtelweg 1, 2310 Rijkevorsel, Belgium BE F508-H EG) საწარმოდან იმპორტირებულ ფრინველის ხორცში, (0207 სასაქონლო პოზიცია) 1 წლის განმავლობაში სალმონელას (salmonella) ორჯერ აღმოჩენის გამო, 1 წლის ვადით შეჩერდეს ამ საწარმოდან “საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 ივლისის №241 ბრძანებით დამტკიცებული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურით (სეს ესნ) განსაზღვრული 0207 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული პროდუქტების იმპორტი.

2. დაევალოს:

ა) სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, ბელგიის სამეფოს კომპეტენტური ორგანოს ინფორმირება აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ;

ბ) სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს, სსიპ შემოსავლების სამსახურის ინფორმირება აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ და საქართველოში ექსპორტზე უფლებამოსილ საწარმოთა შესაბამის ნუსხაში ცვლილების შეტანა;

გ) სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, შესაბამისი ინფორმაციის სააგენტოს ვებგვერდზე განთავსება.

3. ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 29 აგვისტოდან.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი), ამ ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ ბასილაძე



სააგენტოს უფროსი - მ.შ.